როგორ ვასწავლოთ ბავშვის უფლებები?

ბავშვის უფლება სახელსა და მოქალაქეობაზე;

ინდივიდუალობის შენარჩუნების უფლება.

მოამზადა ნინო გვარამაძემ

წინამდებარე რესურსში საუბარი იქნება ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-7 და მე-8-ე მუხლებზე. მოყვანილი აქტივობები დაეხმარება მასწავლებელს აღნიშნული უფლებების ახსნაში.

მუხლი 7

1. ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის შესატყვისად და თავისი მოვალეობების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი სხვაგვარად ბავშვს არ ექნება მოქალაქეობა.

მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.

2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს ან მის ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას აუცილებელი მფარველობით და დახმარებას აღმოუჩენენ მისი ინდივიდუალობის უსწრაფესი აღდგენისათვის.

აღნიშნული მუხლების სწავლებისას, საჭიროა, მოსწავლემ გაიაზროს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანს ჰქონდეს სახელი და მოქალაქეობა[1], ჰყავდეს ოჯახი. ეს მოსწავლეებს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ და არასოდეს უფიქრდებიან მათ მნიშვნელობას.

[1] შესაძლებელია, რომ კლასში იყოს მოქალაქეობის არმქონე მოსწავლე და ეს საკითხი მისთვის მტკივნეული იყოს. მასწავლებელმა უნდა აღნიშნოს, რომ გარკვეული გარემოებების გამო ადამიანს შესაძლოა არ ჰქონდეს არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა, რაც მოგვარებადია დროთა განმავლობაში.

<u>აქტივობები გაკვეთილისთვის</u>

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ ადამიანის ინდივიდუალობის არსი და მისი შენარჩუნების აუცილებლობა.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ იმსჯელონ სახელისა და მოქალაქეობის მნიშვნელობაზე და დააკავშირონ საკუთარი იდენტობა ოჯახთან.

აქტივობა 1

კითხვები:

- რას აკეთებენ მშობლები, როცა იბადება ბავშვი?
- რისთვის არის საჭირო სახელის დარქმევა და რეგისტრაცია?
- რას აძლევს ბავშვს რეგისტრაცია?
- რას ნიშნავს მოქალაქეობა?
- რას აძლევს ბავშვს ოჯახში ცხოვრება?

მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ სახელი, მოქალაქეობა, ქვეყანა, ოჯახი განსაზღვრავს ადამიანის ინდივიდუალობას.

აქტივობა 2

ქეისის განხილვა

მოსწავლეები მცირე ჯგუფებში იხილავენ ქეისს:

„ლელა 15 წლისაა. დაბადებისას მშობლებმა ვერ დაარეგისტრირეს, ამიტომ მას არ აქვს დაბადების მოწმობა და მოქალაქეობა. რა სირთულეებს შეხვდება ლელა?“

- რა სირთულეები შეექმნება ლელას?
- რა გამოსავალს ხედავთ?

შემდეგ ჯგუფები აზიარებენ პასუხებს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეები მიხვდნენ, რომ არავის აქვს უფლება წაართვას ადამიანს ინდივიდუალობა.

დასკვნა უნდა იყოს ის, რომ სახელი და მოქალაქეობა არა მხოლოდ სიტყვებია, არამედ უფლებების დაცვის გარანტიაა.

აქტივობა 3

დებატები

თემა: „სახელი და ოჯახი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოქალაქეობა“.

კლასი იყოფა ორ ჯგუფად — „თანახმა“ და „წინააღმდეგი“.

თითოეულ ჯგუფს აქვს დრო არგუმენტების მოსამზადებლად.

დებატების შემდეგ ხდება განხილვა: „რას ვიგებთ ინდივიდუალობის მნიშვნელობაზე“.

აქტივობა 4

როლური თამაში „დაკარგული იდენტობა“

მასწავლებელი ამზადებს სცენარს, რომლის მიხედვითაც ერთმა პერსონაჟმა დაკარგა დოკუმენტები და ოჯახი.

სხვა პერსონაჟები არიან: სახელმწიფოს წარმომადგენელი, სოციალური მუშაკი, მეზობელი, მეგობარი.

თამაშის არსია: „ვინ როგორ დაეხმარება პირს ინდივიდუალობის აღდგენაში“.

მოსწავლეები უნდა მივიდნენ აზრამდე, რომ სახელმწიფოს მოვალეობაა აქტიურად დაეხმაროს დაზარალებულს, მაგრამ საზოგადოების მხარდაჭერაც მნიშვნელოვანია.

აქტივობების ბოლოს მასწავლებელს შეუძლია შეაჯამოს: ინდივიდუალობა — ეს არის ის, რაც თითოეულ ადამიანს განსაკუთრებულს ხდის. სახელმწიფო და საზოგადოება ვალდებულნი არიან დაიცვან ეს უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია.